ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №11

25 მარტი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

წევრები- ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამი ოქროპირიძე, საბა ბუაძე, ალექსანდრე რატიშვილი,დავით ფარცვანია,აკაკი ალადაშვილი.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე.

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
(საკრ.№15-03220827-03; 11-0122082108 23,03,2022წ)
საკითხი წარმოადგინა ლევან მიქავამ.
შესათანხმებლად წარმოდგენილია რაიონული გამგეობების და საქალაქო სამსახურების კვარტალური ცვლილება.
კერძოდ: ნაძალადევის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში (პროგ.კოდი 01 01 09) პირველი კვარტლის გეგმას აკლდება 216 000 ლარი და გადადის მესამე კვარტალში.
ასევე რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებები“ს პროგრამაში (პროგ.კოდი 02 09 11) პრველი კვარტლიდან 100 300 ლარი გადადის მესამე კვარტალში. გამგეობის წერილობითი მოხსენებით, კონტრაქტორებს მარტის თვეში უხვი ნალექების (თოვლიანი ამინდები) გამო გაუჭირდათ სამუშაოების განხორციელება.
გლდანის რაიონს „კეთილმოწყობის ღონისძიებები“ს პროგრამაში (პროგ.კოდი 02 09 10), პროგრამით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად პირველ კვარტალში საკმარისის რესურსი არ აქვს, რისთვისაც პირველი კვარტლის გეგმას ამატებს 29 000 ლარს, მეოთხე კვარტლიდან.
საკმარისი რესურსი არ აქვს „კეთილმოწყობის ღონისძიებები“ს პროგრამაში (პროგ.კოდი 02 09 15), პირველ კვარტალში საბურთალოს რაიონს, რისთვისაც მესამე კვარტლიდან 44500 ლარი გადმოაქვს პირველ კვარტალში, ხოლო “გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში (პროგ.კოდი:01 01 13) პირველ კვარტალში ემატება 11600 ლარი.
ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი მოთხოვნით „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში (პროგ.კოდი 01 01 14) პირველ კვარტალს ემატება 100 000 ლარი, მეორე და მესამე კვარტლებიდან,

რაც ბალანსდება რაიონის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამით (პროგ.კოდი 05 01 14)

სამგორის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში (პროგ.კოდი 01 01 15) პირველ კვარტალს აკლდება 350 000 ლარი. გამგეობა წერილობით მომართვაში აღნიშნავს, რომ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ესწრება პირველ კვარტალში დაგეგმილი სამუშაოების შესრულება.

ანალოგური მიზეზების გამო ამცირებს ვაკის რაიონის გამგეობა „რაიონის კეთილმოწყობითი ღონისძიბების“ პროგრამის (პროგ.კოდი 02 09 14) პირველ კვარტლის გეგმას 202 000 ლარით.

უკრაინელი ლტოლვილებისათვის სასტუმროსა და კვების ხარჯების ასანაზღაურებლად იზრდება სარეზერვო ფონდის პირველი კვარტლის გეგმა (პროგ.კოდი 10 22)- 122 000 ლარით, ხოლო მესამე კვარტლის გეგმა - 200 000 ლარით.

ინფრასტრუქტურის სამსახურის მოთხოვნით „გზების მშენებლობა და აღდგენის“ პროგრამაში პირველი კვარტლის გეგმა მცირდება 750 000 ლარით, იზრდება „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრების“ პროგრმის პირველი კვარტლის გეგმა (პროგ.კოდი 02 02) 650 000 ლარით.

იზრდება ასევე „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“ პირველი კვარტლის გეგმა 1 750 000 ლარით, დაბალანსება ხდება „გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის“ პროგრამის პირველი კვარტლის შემცირებით.

წარმოდგენილია ასევე ჩუღურეთისა და კრწანისის რაიონის გამგეობების მოთხოვნები, მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებში კვარტალურ ცვლილებებზე.

სარეზერვო ფონდის პირველი და მეორე კვარტლის გეგმების გაზრდასთან დაკავშირებით, საბა ბუაძის შეკითხვაზე გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ სასტუმროს ხარჯი ერთ ადამიანზე არის 70-85 ლარის ფარგლებში და მასში შედის კვების ანაზღაურებაც. ასევე აღნიშნა რომ აღნიშნულის გამო შესაძლებელია გახდეს სარეზერვო ფონდის გაზრდის საჭიროება.

მომხრე- 7 თავი შეიკავა - საბა ბუაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონულიგამგეობების და საქალაქო სამსახურები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4ეპუნქტის და მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**